

ინფორმაცია პროდუქტის შესახებ

VITAGAMMA® D₃ 5.600 I.E.

VITAMIN D₃ NEM

ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე.

ვიტამინი D₃ NEM

თუ რანდენად მნიშვნელოვანია D ვიტამინი ჩვენი ჯანმრთელობისთვის, ეს ყველასთვის ცნობილია. ვიტამინებს შორის D ვიტამინი ყველაზე მნიშვნელოვანია - ის აუმჯობესებს სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილების ფუნქციას.

რა არის ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. ვიტამინი D₃ NEM?

ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. არის ვიტამინი, რომელიც შედგება 5.600 საერთაშორისო ერთეული (ქოლეკალციფეროლი) D₃ ვიტამინისგან.

D ვიტამინი - რომელსაც აგრეთვე უწოდებენ „მზის ვიტამინს“ - არის ვიტამინი, რომელიც მზის ულტრაიისფერი სხივების დახმარებით წარმოიქმნება კანში, შედის ადამიანის ორგანიზმში სხეულის ზედაპირიდან და ღვიძლსა და თირკმელებში გარდაიქმნება აქტიურ ფორმაში (1,25 - დიჰიდროქსიქოლეკალციფეროლი). გარდა ამისა D ვიტამინის მიღება შესაძლებელია საკვები დანამატის სახით. საუკეთესო საშუალებაა ამისთვის ცხიმოვანი ქაშაყი, სკუმბრია, ცილა, ღვიძლი და აგრეთვე სოკო.

როდის უნდა მივიღოთ ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. ვიტამინი D₃ NEM?

D ვიტამინი მნიშვნელოვანია ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დროულად ვუზრუნველყოთ ჩვენი ორგანიზმი D ვიტამინით. ვიტაგამას მიღება რეკომენდირებულია მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ბუნებრივი გზით D ვიტამინის მიღება, მაგ.: გარკვეული მიზეზების გამო ვერ იღებთ მზის სხივებს და შესაბამის საკვებს.

D ვიტამინის საკმარისი რაოდენობა ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

- ორგანიზმმა მიიღოს მინერალები კალციუმი და ფოსფორი, შესაბამისად სისხლში შენარჩუნდეს კალციუმის საკმარისი დონე
- კბილების, ძვლებისა და კუნთების ნორმალური ფუნქციონირებისთვის
- უჯრედოვანი შრის გამტარიანობისათვის
- იმუნური სისტემის ფუნქციონირებისთვის

ვისთვის არის განკუთვნილი ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. ვიტამინი D₃ NEM?

გერმანიის მოსახლეობის ყოველი მეორე მოსახლე განიცდის D ვიტამინის ნაკლებობას.

D ვიტამინის ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ფაქტორებმა:

არ იღებთ საკმარისი რაოდენობის თევზეულს და ღვიძლს. ზაფხულის პერიოდში, მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ვერ იღებთ საკმარისი რაოდენობის მზის ულტრაიისფერ სხივებს, რაც

გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით: ჩაცმულობა, მზის დამცავი საშუალებების მოხმარება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 65 წლის ასაკიდან, ასაკის მატებასთან ერთად იწყება კანის გათხელება.

ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. ვიტამინი D₃ NEM მოხმარების წესი

იმისათვის, რომ ხანგრძლივი ვადით ვუზრუნველყოთ ორგანიზმი D ვიტამინით, რეკომენდირებულია მივიღოთ ის რეგულარულად, წელიწადის დროისა და მზის აბაზანების მიუხედავად. რადგან D ვიტამინი როგორც ცხიმში ხსნადი ვიტამინი ცხიმოვან ქსოვილში ინახება, არ არის მისი ყოველდღიური მიღება აუცილებელი.

ვიტაგამა D₃ 5.600 ს.ე. -1 ტაბლეტში შეიცავს 140µg (5.600 ს.ე.) D₃ ვიტამინს.

კვირაში ერთხელ ვიტაგამა D₃ 5600 სე-ს თითო ტაბლეტის მიღება უზრუნველყოფს თქვენს ორგანიზმს D ვიტამინით ხანგრძლივი დროით.

ტაბლეტი მიიღეთ სითხესთან ერთად ჭამის დროს, გადაყლაპეთ მთლიანად, არ დალეჭოთ. დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

შემადგენლობა:

შემავსებელი ნივთიერება: მიკროკრისტალური ცელულოზა, D ვიტამინის კონცენტრატი (ჟელატინი, შაქარი, სიმინდის სახამებელი), სოიოს ზეთი ნაწილობრივ გამკვრივებული, ქოლესტალიფეროლი (D₃ ვიტამინი), ანტიოქსიდანტები- ალფა ტოკოფეროლი, შემავსებელი ნივთიერება: პოლივინილპიროლიდონი და სილიციუმის დიოქსიდი, სტაბილიზატორი: ტალკი და ცხიმოვანი მჟავის მონო და დიგლიცერიდი, შემავსებელი ნივთიერება: ნატრიუმის კარბოქსიმეთილის ცელულოზა

- გლუტენის და ლაქტოზას გარეშე
- კონსერვანტების და საღებავების გარეშე

შენიშვნა:

არ მიიღოთ ჭარბი დოზა. არ მიიღოთ საკვები დანამატი როგორც საკვების შემცვლელი.

შენახვის პირობები:

შეინახეთ პრეპარატი ბავშვებისგან დაცულ ადგილას. შეინახეთ პრეპარატი მშალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C.

შეფუთვა:

შეფუთვაშია 20 და 50 ტაბლეტი

ხელმისაწვდომია აფთიაქებში.

ვიორვაგ ფარმა

კალვერ შტრასე 7, 71034 ბიობლინგენი

WÖRWAG PHARMA GmbH & Co. KG

info@woerwagpharma.com

www.woerwagpharma.com

ვიტაგამა D ₃ 5.600 ს.ე. ვიტამინი D ₃ NEM		
ნივთიერება	თითო ტაბლეტში (კვირაში ერთხელ მისაღები დოზა)	მნიშვნელოვანია
D ₃ ვიტამინი	140µg (=5.600 s.e.)	<ul style="list-style-type: none">• ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმისთვის• კალციუმის დონისთვის სისხლში• კბილების, ძვლებისა და კუნთების ფუნქციონირებისთვის• უჯრედოვანი შრის გამტარიანობისთვის• იმუნური სისტემის ფუნქციონირებისთვის

WÖRWAG PHARMA GmbH & Co. KG

კალვერ შტრასე 7, 71034 ბიობლინგენი

VNr. 12-0814-00/601259